KSC

პარლამენტული საინფორმაციო ცენტრის

№10
15.05.90.
გაგზავნის პირველი ერისაგან

პრესა-ბიულეტენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ქრონიკა

სოხუმი 7. 22 აპრილიდან აფხაზეთში ინტერკლუბის სახით ჩამოყალიბდა ინტერფრონტი. უშვებენ გაზეთს "აფხაზსკიი ვესტნიკ", მაგრამ როგორც იტყობინებიან "ქსც" "იბერიის" კორესპონდენტები, პოპულარობა აფხაზეთში ვერ ჰპოვეს.

აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორიდან გადმოდიან თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. გადმოვიდა 140 სტუდენტი.

გრძელდება მიწების მიტაცება: მიწა მიტაცებული აქვს 600-ზე მეტ ოჯახს - მათ შორის არიან ქართველები და აფხაზებიც.

ცხინვალი 7. ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ხელმძღვანელი ნათელა, რომელიც დღეს გამოვიდა შვილღებიდან, ოსი ეროვნების მოქალაქეებმა არ შეუშვეს სამუშაოზე, გამოაგდეს პოლიკლინიკიდან, აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ითხოვენ მის მაგივრად ოსი ეროვნების ექიმის დანიშვნას.

თბილისი 8. 7 მაისს ოთხი პოლიტიკური ორგანიზაციის /წმ. ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მონარქისტული პარტია, ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება/ მიერ დაკავებული იქნა კომკავშირის ცკ-ს შენობა, კომკავშირის გაუქმების მოთხოვნით.

8 მაისს დილით ჩატარდა მოლაპარაკება ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და კომკავშირის ფუნქციონერებს შორის შენობის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის გადაცემის თაობაზე. კომკავშირლებმა უარი თქვეს სამუშაო ოთახების ჩაბარებაზე. ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების აქტივისტებმა დაიწყეს შენობის პიკეტირება ლოზუნგებით: "კომკავშირი უნდა გაუქმდეს!", "არა - კომკავშირს!" საღამოსთვის კომკავშირელთა უმეტესი ნაწილი სახლში წავიდა. შენობა პრაქტიკულად აღმოჩნდა ოპოზიციური ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ.

ცხინვალი მროგორც გვაუწყეს "ადამონ ნიხასის" შტაბბინიდან, თბილისში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, რომ ამ დღეებში უნდა შეიცვალოს ე.წ. სახრეთ ოსეთის სტატუსი, სინამდვილეს არ შეესაბამება. "ადამონ ნიხასი" სიტუაციას რეგიონში აფასებს როგორც სტაბილურს.

8 მაისს ცხინვალის პიონერთა პარკში კომკავშირის საოლქო კომიტეტისა და ოსური საქველმოქმედო ორგანიზაციების ინიციატივით ჩატარდა ავღანეთის ომის ვეტერანთა საღამო.

9 მაისს არავითარი დემონსტრაცია ქალაქში არ ჩატარებულა.

ქუთაისი 8. 6 მაისს ქ. ტყიბულის საგაფიცო კომიტეტი საქნახშირის სამმართველოს შენობაში /რომლის გადატანასაც მოითხოვენ ისინი ტყიბულში/ შეხვდა ქალაქკომის I მდივანს ბეგლარ მახარაშვილს. მიიღეს შეთანხმება მათი ყველა მოთხოვნის შესრულებაზე. მაგრამ გაფიცულები არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ გაფიცვის შეწყვეტის შემთხვევაში ყველა მოთხოვნა შესრულდება და ამიტომ გაფიცვა გაგრძელდება 10 მაისამდე, სადამდეც მიცემულია ვადა მოთხოვნების შესასრულებლად.

თბილისი 9. დღის ორ სთ-ზე ვაკის პარკში დაიწყო მიტინგ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ედპ-ს თავჯდომარე გ. ჭანტურია, საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი თ. შარმანაშვილი და სედპ-ს თავჯდომარე ი. წერეთელი. გამომსვლელებმა იოანპარაკეს როგორც ინტერფრონტის შესახებ, ისე ეროვნული ფორუმის დამოკიდებულებაზე საბჭოთა მრავალპარტიული არჩევნების მიმართ. გ. ჭანტურიამ განაცხადა, რომ მოსული ცნობების თანახმად საქართველოში არსებული ინტერფრონტის თავჯდომარის მოადგილეა გადამდგარი პოლკოვნიკი ვიქტორ პეტრეს ძე შეფჩუკი.

მიტინგზე გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ეროვნული ფორუმი არავითარ საბჭოურ სისტემაში არ "ჩაჯდება" და მოამზადებს ეროვნული კონგრესის არჩევნებს. მიტინგზე მისულმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოხატა სასტიკი პროტესტი საქართველოში ინტერფრონტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მიტინგზე წუთიერი დუმილით აღნიშნეს "სამამულო ომში" დალუპულ ქართველთა ხსოვნა. მომიტინგეებისაგან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენობის პიკეტირების შიშით ოფიციოზმა თვითონვე ჩაატარა ანალოგიური აქცია, როცა მილიციით სავსე ავტობუსით შემოარტყა აღყა ოკუპანტების შტაბს ოფიციოზის "მოპიკეტეთა" ლოდინი ამაო გამოდგა. მიტინგი აღგილზევე დაიშალა.

ახალციხე 9. როგორც იუწყება "ქსც" "იბერია"-ს კორესპონდენტი ნინო ბლუაშვილი, ახალციხეში მდგომარეობა 9 აპრილისათვის სტაბილიზირებ

ული. 8-ში დაამოწმა მუშაობა სსკ-ის სემ.ორგანო. კონ-ფერენციაზ. კონ ერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოთხოვნას. კონ ერენციამ დაადგინა რომ ე.წ. "ოუ-ჩი შესახებ" ჩამოსახლება ლეგიტიმურია დაუშვებელია.

ასპინძა 13. /ნ. ბლუაშვილი/ დ. ასპინძის მოსახლეობის მიერ ჩატარებული აქციის შედეგად 5 მაისს ქ. ასპინძაში მოიხსნა ლენინის ძეგლი და განთავისუფლებული იქნა თანამოქალაქეობიდან რაიკომის I მდივანი მარუაშვილი. ამ თანამდებობაზე დანიშნულია თბილისიდან გამოგზავნილი ვინმე წიკლაძე. ასპინძის მოსახლეობა სასტიკად წინააღმდეგია ამ პიროვნების დანიშვნისა, რამდენად კარგად იცნობენ წიკლაძეს, რომელიც თავის დროზე იყო ასპინძის რაიკომის თანამშრომელი.

3 მაისს ადგილზე ჩაკეტილი პაკეტიდან იქ ჩასული წიკლაძე და მისი ორი თანამშრომელი რაიკომის შენობაში. ისინი მოითხოვდნენ წიკლაძის დაუყოვნებელ დაბრუნებას თბილისში. როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გვაუწყა წიკლაძე მაინც დაინიშნა რაიკომის მდივნად.

თბილისი 10. ყოფილი კომკავშირის ცკ-ს შენობასთან ჩატარდა ეროვნული ფორუმიდან გამოსული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მიტინგი. სიტყვით გამოსულმა ზ. გამსახურდიამ /საქ. ჰელსინკის კავშირი/ აღნიშნა, რომ ალტერნატიული არჩევნების ის მოდელი რომელიც სთავაზობს ეროვნული ფორუმი, მისაღები არ არის, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული ქართველი ერის უფლებები. გამომსვლელის აზრით, თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ მხოლოდ ქართველებმა და უცხო ქვეყნების იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ საქართველოში და მხარს უჭერენ ეროვნულ მოძრაობას. ზ. გამსახურდიამ უარყო ქალაქში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, რომ ფორუმიდან გამოსული ორგანიზაციები /საქ. ჰელსინკის კავშირი, წმ. ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქ. მონარქისტული პარტია/ აპირებენ მონაწილეობის მიღებას საბჭოთა არჩევნებში.

თბილისი 11. ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ჩატარდა ეროვნული ფორუმის საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. გადაწყდა, რომ ეროვნული ფორუმის კრება მოწვეული იქნება 23-25 მაისს. ფორუმმა დაადგინა, რომ კრებაზე დაესწრებიან 50-50 დელეგატი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, 25-25 საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან, 250 დელეგატი მეცნიერებათა აკადემიიდან /ყოველ ინსტიტუტს დაახლოებით 5 დელეგი/, შემოქმედებითი კავშირებიდან - მწერალთა, მხატვართა და კომპოზიტორთა კავშირები. საქართველოს 69 რაიონიდან 20-20 წარმომადგენელი.

კრების დღეწესრიგია:

1. ნაამტკიცოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონი;
2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევა.

თბილისი 11. მთავრობის სასახლესთან ჩატარდა ეროვნული ფორუმის საინფორმაციო მიტინგი. სიტყვით გამოსულმა ი. წერეთელმა /სოდპ/ მოუწოდა ყველა არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს გაერთიანებულიყვნენ ფორუმის გარშემო ალტერნატიული არჩევნების ჩასატარებლად. მან უპასუხა დამსწრეთა კითხვებზე. ი. წერეთელმა განაცხადა, რომ 23 მაისს ჩატარდება ეროვნული ფორუმის კრება. მიტინგს დაესწრო 10000-მდე ადამიანი.

ყოფილი კომკავშირის ცკ-ს შენობასთან ჩატარდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების, საქართველოს მონარქისტთა პარტიის მიტინგი. მიტინგის ორგანიზატორებმა მოუწოდეს ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს ჩაატარონ მასთან ერთად კონსულტაციები მრგვალ მაგიდასთან. ჰელსინკის კავშირის თავჯდომარემ - ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად 23 მაისს ეროვნული ფორუმის კრების ჩატარება.

ცხინვალი 11. მეორე დღეა ქალაქის პროკურატურასთან და აღმასკომთან გრძელდება ოსი ეროვნების მოქალაქეთა შიმშილობა. მოშიმშილეები /8-9/ კაცი/ მოითხოვენ ა.წ. იანვარში ეთნოკონფლიქტების დროს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, მათ შორის ა. ტუაევის, რომელსაც აბრალებენ 9 თვის გავშვის მკვლელობას.

ტყიბული 11. 4 მაისს შედგა შეხვედრა ქ. ტყიბულში გაერთიანება საქნახშირის ხელმძღვანელობა სა და ქ. ტყიბულის საგაფიცვო კომიტეტს შორის. კომიტეტმა მისცა ორი დღის ვადა მოთხოვნების შესასრულებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებენ სხვა ზომებს.

გაფიცულია 4 შახტა და გამამდიდრებელი ფაბრიკა.

თბილისი 12. მთავრობის სახლის წინ ჩატარდა საქართველოს მოქალაქეთა ლიგის 200 კაციანი მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ვ. მთავრიაშვილი, ა. ჩიტიძე, მ. ჯორბენაძე და სხვები. გამომსვლელებმა მოუწოდეს დამსწრეთ უარი თქვან საბჭოთა მოქალაქეობაზე და იმოქმედონ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ნორმებით. როგორც საქართველოს მოქალაქეთა ლიგის წარმომადგენელმა ა. ჩიტაძემ გვაუწყა, მიტინგზე მოსულმა სუკ-ის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სახალხოდ დახია საკუთარი პარტიის მანდატი.

ახალციხე 12. წმ. ილია მართლის საზოგადოების აქტივისტებმა ჩარაზეს ახალციხის აფთიაქის კარები. ეს იხსნება იმით, რომ აფთიაქის გამგე ო. კარაპეტიანი ეწევა სპეკულაციას დეფიციტური წამლებით.

ჩარაზეს აგრეთვე სოფელ ურაველის საბჭოს კარები.

წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრების ცნობით ამ სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარე კაპანაძე პყიდდა მიწებს არაქართულ მოსახლეობაზე.

ასპინძა 12. როგორც იუწყებიან წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი ზ. ხუციშვილი, 15 ასპინძელმა წვეევამდელმა უარი თქვა საბჭოთა ჯარში სამსახურზე. აქციას ხელმძღვანელობს წმ. ილია მართლის საზოგადოება.

გორი 12. გორის ეკონომიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგა ზ. გამსახურდიას შეხვედრა ქ. გორის საზოგადოებასთან. ზ. გამსახურდიამ ილაპარაკა შექმნილ რთულ ვითარებაზე, ი. სტალინის როლზე კაცობრიობის ისტორიაში, სამაჩაბლოს პრობლემებზე.

ლანჩხუთი 12. "საქართველოს მხედრობის" ადგილობრივი ორგანიზაციის შტაბ ბინაში 10-მა ლანჩხუთელმა ახალგაზრდამ გამოაცხადა მშიერ გაფიცვა. გაფიცულნი უარს ამბობენ საოკუპაციო ჯარში სამსახურზე. ადგილობრივი პროკურატურა ორ მათგანს აბრალებს კაცის დაჭრას და ემუქრება დაპატიმრებით. აქციას ხელმძღვანელობს ე.დ.პ.

ქალაქის სამხედრო კომისარიატი ვერ ატარებს წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევას, რადგან ლანჩხუთელი ექიმები უარს ამბობენ კომისარიატთან თანამშრომლობაზე.

13 მაისს ლანჩხუთში ჩატარდა დასავლეთ საქართველოში არსებული ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების კონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზეთის ცნობები

ერევანი 8. /სსუმ-ის პრეს-ცენტრი/ 7 მაისს ჩატარდა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, იახოვის შუამდგომლობა სსრკ-ს პრეზიდენტის - მ. გორბაჩოვის წინაშე, რათა აღ უდგინონ საბჭოთა მოქალაქეობა და საბჭოთა-ში დაბრუნონ 1987 წლის ივლისში ძალით სომხეთიდან გაძევებული პარუირ აირიკიანი. იგი არის სომხეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი და წარმოყენებულია სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. პრეზიდიუმმა აგრეთვე მოისმინა წვევამდელთა პრობლემების შემსწავლელი უმაღლესი საბჭოს კომისიის თავჯდომარის, სსუმ-ის გამგეობის წევრის, რაფაელ კაზარიანის ინფორმაცია. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სომხეთის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიაში საგანგებულ გაწვევა შეჩერებულია უმაღლესი საბჭოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. განხილულ იქნა თავდაცვის საბჭოს სტრუქტურა და მისი სახელობით შემადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები. თავდაცვის საბჭოს შექმნა დაგეგმილია სომხეთის უმაღლეს საბჭოსთან.

ბაქო 9. / აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრი/. საერთოდ აზერბაიჯანში სიტუაცია წყნარია. საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით არავითარი მიტინგი ან დემონსტრაცია არ ჩატარდება. 28 აპრილი არის აზერბაიჯანის გასაბჭოების დღე. ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა და კერძოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამასთან დაკავშირებით ბაქოში გააკრეს პროკლამაციები, რომლებიც ხელს მოუწოდებდნენ, რომ 28 სპრილს გამოცხადებული ყოფილიყო გლოვის დღედ. ოფიციოზმა ეს დღე არ აღნიშნა საზეიმოდ. 1 მაისს ოპოზიციური ორგანიზაციები აპირებდნენ საპროტესტო კოლონით გავლას დემონსტრაციაზე, მაგრამ მიტინგი და დემონსტრაცია არ ჩატარდა. ხელისუფლება ამ თარიღსაც სიჩუმით შეხვდა. 1 მაისს ახალგაზრდების ჯგუფმა ღამით ჩამოგლიჯა საბჭოთა დროშები ბაქოს ქუჩებში. 4 მათგანი დაკავებული იქნა.

8 მაისს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს ბიუროს დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მალე აზერბაიჯანს დაუბრუნდება ძველი სიმბოლიკა: დროშა, გერბი, და ჰიმნი, რომელიც ამ რესპუბლიკას ჰქონდა დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918-20 წ.წ-ში. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე 28 მაისი გამოცხადებულია ეროვნულ დღესასწაულად.

9 მაისს სამხედრო აღლუმი არ გამართულა.

ერევანი 10 /სსუმ-ის პრეს-ცენტრი/ გართულდა სიტუაცია მთიანი ყარაბახის აო-ს ასკერანის რაიონში. სომხურ სოფელ ვერკავანთან ახლოს გამოყოფილი იქნა ტერიტორია აზერბაიჯანიდან დევნილ სომეხთათვის ინდივიდუალური ბინების მშენებლობისათვის. ამან გამოიწვია გვერდით მდებარე აზერბაიჯანული სოფელ ხოჯალის მცხოვრებთა უკმაყოფილება. შეტ კება აცილებული იქნა სამხედროთა მიერ, რომლებმაც აიძულეს სოფელი, შეეწყვიტათ მშენებლობა და მოუწოდეს მათ შეეთანხმებინათ ეს საკითხი ე.წ. მთიანი ყარაბაღის აო-ს საორგანიზაციო კომიტეტთან, რომელიც შექმნილია აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ სსრკ უმაღლესი საბჭოს "მთიანი ყარაბაღის შესახებ" 1989 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად. სომხეთის მხარე კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდა საორგანიზაციო კომიტეტთან ნებისმიერ კონტაქტზე, რადგან მთიანი ყარაბაღის სომხური საოვისტომო არ სცნობს ამ ორგანოს და ბოიკოტირებას უწევს მას. ასკერანის რაიონში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.

ერევანი 11. /სსუმ-ის პრეს-ცენტრი/ თავისუფლების მოედანზე ჩატარდ სსუმ-ის გამგეობის მიერ ორგანიზებული მიტინგი, რომელსაც ესწრებოდა 25000 ადამიანი. სსუმ-ის გამგეობის წევრის ღ. პეტროსიანმა გაანალიზა სიტუაცია რესპუბლიკაში, აღნიშნა, რომ პარტაპარატი პაროვოკაციის გზით, ორგანიზებული დეზინფორმაციით აკეთებს ყველაფერ შესაძლებელს, რათა ჩაშალოს სომხეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და შეინარჩუნოს საკუთარი ჰეგემონია. მან მოუწოდა მოსახლეობას არჩევნებში აქტიური მონაწილეობისაკენ. და აღნიშნა , რომ სომხეთისთვის ამ კრიტიკულ მომენტში საჭიროა სწორი არჩევანის გაკეთება.

სსუმ-ის გამგეობის წევრმა ვ. სირადოიანმა გააკრიტიკა ნომენკლატურული ინტელიგენცია, რომელიც პარტაპარატთან ერთად დგას ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის პოზიციაზე. ორატორი შეჩერდა შემდეგ ფაქტზე: საქვეყნოდ ცნობილმა სომხური წარმომავლობის ფრანგმა მხატვარმა - გარუმ სომხეთის კულტურის ფონდს გადასცა საკუთარი ნამუშევრები აუქციონის ორგანიზებისათვის, რომლის შემოსავალი მიღიანად მოხმარდებოდა მიწისძვრისგან დაზარალებულ რაიონებს. აუქციონი რატომღაც არ ჩატარდა, ნახატები კი გაიყიდა მხატვრის მიერ დასაფუძნებული საწყისი ფასებით. როგორც ჩანს, ნახატები მოხვდა პარტაპარატის წარმომადგენლების ხელში. სსუმ-ის გამგეობის წევრმა, ადამიანთა უფლებათა დაცვის სომხეთის კომიტეტის თავჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ უკანონობაზე, რასაც მიმართავს ხელისუფლება არჩევნების ჩაშლისათვის. მან გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სსსკ საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა ვიზების გაცემაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო ლიგის დელეგაციის წევრებს, რომლებიც აპირებდნენ სომხეთში ჩამოსვლას უმაღლესი არჩევნების მეთვალყურეობისათვის. ეს ამტკიცებს, რომ აპარატი აპირებს მიმართოს უკანონო ქმედებას უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს. დასასრულ, სსუმ-ის გამგეობის წევრმა, სომხეთის საქვეყნოთმოქმედო კავშირის თავჯდომარემ ხ. ტამბოვცოვსიანმა ისაუბრა იმაზე, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთ-ერთ რაიონში წამოყენებულია სომხეთის კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი კ. დემირჩიანი, რომლის დროსაც კორუფციამ და განუკითხაობამ სომხეთის პარტიულ ელიტაში უმაღლეს დონეს მიაღწია. ამ ცნობამ მიტინგის მონაწილეთა აღშფოთება გამოიწვია. ორატორმა მოუწოდა ხალხს წინ აღდგომოდნენ კ.დემირჩიანის არჩევას.

მოსკოვი 13. /პრეს-რელიზ "გლასნოსტი"/ 12 მაისს 21 საათსა და 30 წუთ-ზე მზის ჩასვლასთან ერთად მოსკოველ სტუდენტთა ჯგუფმა დაიწყო შიმშილობა ჩინელ სტუდენტთა ხსოვნის პატივსაცემად. იმ სტუდენტებისა, რომლებიც დაიხოცნენ ჩინეთის ხელისუფალთა მიერ 1989 წლის 3 ივნისს ტიანანმენის მოედანზე პეკინში. აქციის დაწყებისას შიმშილობდა 200-მდე კაცი. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით დაწყებული აქცია გაგრძელდება ერთი დღე და დასრულდება 13 მაისს საღამოს . აქცია მიმდინარეობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ. გამოფენილია ლოზუნგები: "დემოკრატიას სახლვრები არა აქვს", "ჩინელი და საბჭოთა კომუნისტები სისხლისმიერი ძმები არიან!", "გაუმარჯოს სტუდენტურ სოლიდარობას!" მიღიციის ჯგუფი თვალს აღევნებდა აქციას, მაგრამ არ ერევა სტუდენტთა მოქმედებაში.

პეტერბურგი 13. / პ. ბეჟენიცკი/. პეტერბურგში 3 მაისს გამოვიდა დამოუკიდებელი გაზეთის-"ზებრას" პირველი ნომერი. გაზეთი განკუთვნილია მოზარდთათვის. გაზეთის პირველ ნომერში მოთხრობილია მოვლენებზე, რომლებიც წარიმართა პირველ მაისს მოსკოვში, ტალინში, და პეტერბურგში. გაზეთში გამოქვეყნებულია ანკეტა, რომელიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს მოზარდთა პოლიტიკური შეხედულებანი. ვიქტორ კორსაკოვი იქნება გაზეთში სამართალდამცველი მოძრაობის რუბრიკის წამყვანი. გაზეთის სავარაუდო პერიოდულობაა თვეში ერთი ნომერი, ტირაჟი – 5000 ეგზემპლარი.

კიევი 13. / ს. რებაშატკო/ II მაისს ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების წარმომადგენლებმა გალახეს საზოგადოება "კრიშნას შეგნების" წევრები: ალია ხმილევსკაია, ვიქტორ კოლოდიაჟნი, კონსტანტინ სტრელცოვი, რომლებიც ავრცელებდნენ რელიგიურ ლიტერატურას. წიგნები მილიციის წარმომადგენლებმა ამოიღეს განმარტებისა და ოქმის შედგენის გარეშე.

I2 მაისს "მემორიალის" კიევის ფილიალის ინიციატივით კიევთან, ბიკოვნიანსკის ტყეში, სადაც თავის დროზე აღმოჩენილია სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა სამარხები, გაიმართა პარაკლისი და სტალინიზმის მსხვერპლთა მოსაგონარი მიტინგი. დაღუპულთა საფლავზე აკურთხეს ჯვარი და გადახდილ იქნა პარაკლისი. მსახურებდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელი პროტეირეი მიფოდი ანთიუიჩენკო. ცალკე გადაიხადა პარაკლისი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმა მამა ალექსანდრ კობელიუსმა, რომელიც კატეგორიულად წინააღმდეგი იყო იმსახუროს რუს მართმადიდებლებთან ერთად. ორივე მღვდელი გამოვიდა და ხალხს მიმართა სიტყვით. მიტინგზე გამოვიდნენ ბიკოვნიანსკის ტყეში მომხდარი ტრაგედიის მონაწილენი, აგრეთვე "მემორიალის" ერთ-ერთი თანათავჯდომარე – მწერალი ლეს სტანიუ... და სხვები. მიტინგში მონაწილეობდნენ ეროვნებით პოლონელი უკრაინის მოქალაქენი. / ბიკოვნიანსკის ტყეში დახვრეტილთა შორის იყო პოლონელთა დიდი ჯგუფიც./

ტალინი 13. /ს.სისი, ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია/ არნოლდ რიუტელის ინიციატივით /ა. რიუიტელი არის ესტონეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე/ ტალინში I2 მაისს ერთმანეთს შეხვდნენ ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკის ხელმძღვანელები: რიუიტელი, ლანდსბერგისი და გორბუნოვი. მიღებულია ერთობლივი კომუნიკე და რამდენიმე დეკლარაცია: მიმართვ[...]ლი მ.გორბაჩოვისადმი, ჯ. ბუშისადმი და გაერთიანებული ერების ორგა ნიზაციისადმი. გაეროში მიმართვა გაგზავნილია იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა ბალტიის საერთო ბაზარი, შექმნილია მთლიანი ეკონომიკური ინფროსტრუქტურა. ახლა გაეროს წესდების მიხედვით უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია. ჯ.ბუშს მიმართვაში მოუწოდებენ, რომ მან თავის ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს ბალტიის ბაზარს საერთო ევროპულ და საერთო მსოფლიო ეკონომიკური სისტემების შექმნის კონტექსტში. გორბაჩოვისადმი მიმართვაში არის მოწოდება უმოკლეს დროში გაიმართოს მოლაპარაკება ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლებთან. უმაღლეს დონეზე.

ა.რიუტალმა სხვათა შორის ისაუბრა ამ შეხვედრის შესახებ და აღნიშნა, რომ 50 წლის განმავლობაში ეს ამ ქვეყნის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების პირველი შემთხვევაა. ყველაფერი უბრუნდება 1940 წლამდე პერიოდის, რამეთუ დამოუკიდებლობის დროს არსებობდა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ალიანსი. რიუტელის შეკითხვა,, თუ რა რეაქციას გამოიწვევს გორბაჩოვის მხრიდან ესტონეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება./ცნობილია, რომ ლატვიის პარლამენტის გადაწყვეტილება მის მიერ მიღებული იქნა ძლიერ ნეგატიურად/. თუმცა იგრძნობა, რომ შესაძლებელია ესტონეთის წინააღმდეგაც ეკონომიკური ბლოკადა, რიუტელმა აღნიშნა,, რომ იგი დარწმუნებულია: ესტონეთი გადაიტანს ნებისმიერ ბლოკადას და ნებისმიერ სირთულეს, რადგან ხალხს ძლიერ სწადია დამოუკიდებლობა.

II მაისს შედგა ედგარ სავისარის, ესტონეთის პრემიერ მინისტრის შეხვედარა უმაღლესი ხელისუფლების 4 წარმომადგენელთან: გორბაჩოვთან, ბაკატინთან, იაზოვთან და ელცინთან. გორბაჩოვზე შეიძლება ითქვას, რომ იგი პრინციპში მომწიფდა დიალოგისათვის, მაგრამ იმპერიის მეთაურს ამბიციები არ აძლევს ამის პირდაპირ თქმის საშუალებას. იაზოვთან იყო საუბარი ალტერნატიული სამსახურის შესახებ. 2000-მდე კაცმა დღეისთვის უკვე დაწერა განაცხადი ალტერნატიული სამსახურის მოთხოვნით, არმიაში მსახურის მსურველი კი არის მხოლოდ 800-ზე მეტი ახალგაზრდა. 150 კაცმა დასტოვა საოკუპაციო არმია და იწოდებიან იაზოვის მიერ ე.წ. დეზერტირებად. მაგრამ ესტონეთში ასე არ თვლიან, რადგან საბჭოთა არმია საოკუპაციოა. საუბარში გამოჩნდა რომ დ.იაზოვი წინააღმდეგია ალტერნატიული სამსახურისა, რომ იგი არ აღიარებს ესტონეთის უმაღლესი საბჭოს არავითარ გადაწყვეტილებას. იაზოვთან კომპრომისი ან მორიგება არ გამოვიდა. როგორც სავისარმა აღნიშნა:"ჩვენ არ დავიხევთ უკან რადგან ჩვენი გადაწყვეტილებების შეცვლა არ შეგვიძლია." ბაკატინთან /სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი/შეხვედრისამან აღნიშნა, რომ იგი მიდის კომპრომისზე იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსკოვის დაქვემდებარების ნაცვლად დაექვემდებაროს ტალინის ხელისუფლებას./ მათთან მიღებულია გადაწყვეტილება პოლიციის შექმნის შესახებ, რომელიც დაექვემდებირება ადგილობრივ ხელმძღვანელობას/. ელცინთან საუბარი წარიმართა იმის ხაზგასმით, რომ იგი ბაკატინთან ერთად არის რსფსრ პრეზიდენტობის კანდიდატი. ელცინმა აღნიშნა, რომ კომპარტიის შიგა ოპოზიცია მზადაა რუსეთში დემოკრატიული რეფორმებისათვის და აქედან გამომდინარე, იგი მხარს დაუჭერს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

მოსკოვი 13. /ო. ორლოვი/ მოსკოვის "მემორიალის თავჯდომარე/. 10 დღით წინ "მემორიალის" წარმომადგენლებმა გადასცეს სსრკ პროკურატურის მისაღებში დაახლოებით 100 კაცის სია, რომლებსაც ხელისუფლება სდევნის პოლიტიკური მოტივების გამო. "მემორიალი" ითხოვს ამ ხალხის შესახებ სრულ ინფორმაციას

პროკურატურის მუშაკები უახლოეს ხანში შეპირდნენ წინასწარ მონაცემებს. პასუხის განზრახ დაგვიანების შემთხვევაში მოხდება სსრკ პროკურატური შენობის პიკეტირება.

ქართული საინფორმაციო ცენტრი

ნიკა გაბრიჩიძე / დ.კოორდინატორი/
ტ-23-20-65
კახა გაგლოშვილი ტ-31-55-42
ზურაბ მაისურაძე ტ-38-76-50
მამუკა მაისურაძე ტ-36-34-74
ზურაბ კოდალაშვილი ტ-93-32-56
ირაკლი მოსეშვილი ტ-34-41-41
გიორგი შენგელაია ტ-51-48-73
ლადო გაგლოშვილი ტ-36-31-76
გიორგი ანდრიაძე
მაია შეყელაშვილი ტ-38-61-04

ბიბლიოთეკა